

გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული ასპექტები (ქვემო ქართლის მაგალითზე)

გელა სანდოძე

ელ. ფოსტა : gela.sandodze674@ens.tsu.edu.ge

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა უკავშირდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიულ, საკანონმდებლო და საზოგადოებრივი ცნობიერების თავისებურებებს. ამგვარი კუთხით გარემოზე ზემოქმედების შეფასება დღემდე არ შესწავლილა, რაც ნაშრომის მიხედვით ქვემო ქართლის მაგალითზე განხორციელდა. აღსანიშნავია ისიც, დღემდე არაა განსაზღვრული გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული (სივრცითი) საფუძვლები, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამგვარი საფუძვლების გამოვლენა გარემოზე (ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ) ზემოქმედების შეფასების ოპტიმიზაციის არსებითი წინაპირობა გახდება.

თემის აქტუალობას უკავშირდება ნაშრომის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზნებიდან აღსანიშნავია:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლა და შედარებითი ანალიზი;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული თავისებურებების განსაზღვრა;
- ქვემო ქართლში განხორციელებადი და მიმდინარე სამეურნეო პროექტების (გზების მშენებლობა, მსხვილი საწარმოების ფუნქციონირების და სხვ.), აგრეთვე საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური აქტივობის გარემოზე ზემოქმედების თავისებურებათა გამოვლენა.

კვლევის მეთოდოლოგია უკავშირდება ერთის მხრივ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების საერთაშორისო და ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებს, მეორეს მხრივ - ლანდშაფტური დაგეგმარების ევროპულ გამოცდილებას და მოთხოვნებს, ხოლო მესამე მხრივ - ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედების გეოგრაფიული ფაქტორების ანალიზს.

ამრიგად, კვლევის შედეგად პირველად განხორციელდება:

1. გარემოზე სხვადასხვაგვარი (ბუნებრივი, საზოგადოებრივი) ზემოქმედების შეფასების საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლა და შედარებითი ანალიზი;
2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული თავისებურებების განსაზღვრა და მათი კლასიფიცირება.
3. ქვემო ქართლის ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედების ძირითადი არეალების განსაზღვრა და შედარებითი ანალიზი, რაც რეგიონის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი შეიძლება გახდეს.